საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი
ბრეს საქართველო
Charity Humanitarian Foundation Breath Georgia

N g-02-19

სოციალური დაცვის დეპარტამენტის
უფროსს, ქალბატონ ნინო ოდიშარიას

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის პროგრამების მონიტორინგის სამმართველოს მიერ, 2017 წლის 29 მაისს განხორციელდა (ა)იპ საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „ბრეს" საქართველოს დაქვემდებარებაში არსებული ქ.ქუთაისის მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების მონიტორინგი.

N01/37823 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დადგენილ ვადაში შესრულებული იქნა მონიტორინგის ანგარიშში გაწერილი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით:

1. მომსახურებაში შემუშავებულია და განახლებულია შინაგანაწესი. კერძოდ, მომსახურების განახლებული შინაგანაწესის სტრუქტურა და მასში გაწერილი საკითხები ითვალისწინებს იმ საკითხების რეგულირებას, რომელსაც ეყრდნობა არსებული მოდელი.

მისამართი:
საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი ბრეს (Breath)
საქართველო
ალექსიძის #1. მე-3 სადარბაზო , 9/29
საფოსტო ინდექსი: 0171

T: +995 322242565
M:+995 599274017
E: breathgeorgia@gmail.com
F: Foundation Breath Georgia /ფონდი ბრეს
საქართველო

თიბისის ბანკი
GE42TB1112436080100002 GEL
GE63TB7012436180100005 EUR
GE59TB1112436180100003 USD

2. მომსახურებაში უზრუნველყოფილია თითოეული თანამშრომლის პირადი საქმის წარმოება სტანდარტების შესაბამისად. (მომსახურების პედიატრისა და ფსიქოლოგის პირადი საქმეები სრულყოფილად შეიცავს მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას).
3. მომსახურების აღსაზრდელების შეფასებისა და მომსახურების ახალი ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მიზნით შედგა მულტიდისციპლინარული გუნდის დაგეგმილი შეკრება. კრების მიერ მიღებული დადგენილებების საფუძველზე შემუშავებულია მომსახურების ახალი ინდივიდუალური გეგმები.
4. მომსახურების მიერ მაქსიმალურად უზრუნველყოფილია აღსაზრდელების ინდივიდუალური საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების განსაზღვრა და მომსახურების ინდივიდულურ გეგმებში მათი გაწერა (თუმცა, არსებობს საჭიროება იმისა, რომ მომსახურების სპეციალისტებმა და აღმზრდელებმა დეტალური ინდივიდუალური გეგმების შედგენის ტექნიკის დასახვეწად გაიარონ პრაქტიკაზე დაფუძნებული მომზადება).
5. მომსახურებაში დაინერგა ბენეფიციართა საქმის მართვის პრაქტიკა.
6. მომსახურებაში წარმოებულია ჟურნალები თითოეული ბენეფიციარისათვის, ჩანაწერები აღსაზრდელთა განვითარების პროგრესის შესახებ, აგრეთვე მომსახურების პედიატრი აწარმოებს ჩანაწერებს ბენეფიციართა ჯანმრთელობის შესახებ და საჭირო მედიკამენტოზური მკურნალობის ჩასატარებლად მიცემულ დანიშნულებაზე. ადგილზე გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა.
7. მომსახურების ოკუპაციური თერაპევტის პოზიცია კვლავ ვაკანტურია. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს, ვაკანსია გამოცხადებულია (http://jobs.ge/146397/)

8. ბენეფიციარების ქეისში ინახება მომსახურების ფსიქოლოგის მიერ დეტალურად გაწერილი ინფორმაცია ბენეფიციარის ფსიქო-ემოციური, კოგნიტური უნარების შეფასების, განვითარების და ქცევითი თერაპიის შესახებ.
9. მომსახურების მიერ ბუნებრივი პირობების (ამინდის) გათვალისწინებით უზრუნველყოფილია ბენეფიცირების ეზოში/სუფთა ჰაერზე გაყვანა /გასეირნება. შეძენილია დამხმარე საშუალებები (საქანელა, ჰამაკი, სამი ერთეული მექანიკური ეტლი-სავარძელი).
10. მომსახურების მიერ უზრუნველყოფილია ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაწეული იქნა მოწვეული პედიატრის მიერ, კერძოდ: 1. ხორციელდება ბენეფიციარების წონის, თავის გარშემოწერილობისა და სიმაღლეში ზრდის კონტროლი. შესაბამისი ჩანაერები კეთდება ჟურნალებში. 2. უზრუნველყოფილია საკვები დანამატების გამოყენება ბენეფიციართა საჭიროების გათვალისწინებით. 3. ჩატარებულია რაქიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური მკურნალობა, რომელიც პერიოდულად მომავალშიც განხორციელდება მომსახურების პედიატრის დანიშნულების შესაბამისად. 4. ჩატარებულია ანტიჰელმინთური პროფილაქტიკური მკურნალობა, რომელიც პერიოდულად მომავალშიც განხორციელდება მომსახურების პედიატრის დანიშნულების შესაბამისად. 5. სპეციალურად შექმნილ ჟურნალებში პედიატრის მიერ ხორციელდება აღრიცხვა დანიშნული მედიკამენტოზური მკურნალობის შესახებ, აგრეთვე ჩანაწერი, თუ რატომ ან რის საფუძველზე მოხდა მოცემული მკურნალობის დანიშვნა (ჩანაწერები დათარიღებულია). ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ყველა განსაკუთრებული შემთხვევის დროს ბენეფიციარების მკურნალობის საქმეში ჩართულია სტაციონარის მედ.პერსონალი. აღნიშნული შემთხვევების შესახებ სპეციალისტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და მედიკამენტოზური მკურნალობა გაწერილია და გამყარებილია ფორმა N IV-100/ა-

ით. ეს ფორმები თავსდება ბენეფიციართა ქეისებში. 6. ჩვენს მიერ მონიტორინგის ჯგუფისათვის წარმოდგენილ ბენეფიციარების (კერძოდ სამბენეფიციარის) ქეისში არსებობდა/არსებობს მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადაყვანის წინ, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში გაკეთებული გულის ექოსკოპიის ჩანაწერები.

რაც შეეხება ბენეფიციარებისათვის სისხლში რკინის დეფიციტის განსაზღვრის მიზნით შესაბამისი ანალიზური კვლევის ჩატარებას, ამ აქტივობის განხორციელება მომსახურებას შესაბამის ლაბორატორიასთან ერთად დაგეგმილი და ჩანიშნული აქვს მ/წლის 24-28 ივლისის თვეში. (ეს პროცესი აქამდე ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ 3 ივლისიდან ბენეფიციარები სპეციალურ სარეაბილიტაციო მომსახურებას იღებდნენ სარეაბილიტაციო ცენტრ „ნაიოში").

11. მომსახურებაში ადგილზე არსებობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილება N437
12. საქართველოს მთავრობის N437 დადგენილების შესაბამისად შემუშავებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შიდა (განახლებული) ინსტრუქცია.

პატივისცემით,

ანა ჩაჩხუნაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
ა(ა)იპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი ბრეს (Breath) საქართველო